


ა გ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, რევაზ გივის ძე გაჩეჩილაძე, დავიბადე 1943 წლის 4 მაისს, ქ. თბილისში მეცნიერისა და მწერლის – გივი გაჩეჩილაძის ოჯახში.



მამაჩემი (1914-1974) იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. იგი დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

დედაჩემი (დ. 1922 წ.) – ირინე კანდელაკი – პროფესიით ექიმი-პედიატრი, ამჟამად პენსიაზეა.

მყავს მეუღლე – მზია მარსაგიშვილი და ორი შვილი.

განათლება და შრომითი საქმიანობა

1960 წელს ოქროს მედლით დავამთავრე თბილისის იან ამოს კომენსკის სახელობის 24-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1965 წელს დავამთავრე წარჩინების დიპლომით (სპეციალობა “აღმოსავლეთის ქვეყნების [თურქეთის] ქვეყანათმცოდნეობა”). 1965-1968 წლებში ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის ასპირანტურაში სპეციალობით “საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია”. 1973-1974 წლებში გავიარე სამეცნიერო სტაჟირება (*post-doctoral study*) ლონდონის უნივერსიტეტის კინგს კოლეჯში (*Kings College, University of London*).

1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავიცავი დისერტაცია გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად: სადისერტაციო ნაშრომის თემა იყო “თურქეთის სოფლის მეურნეობის გეოგრაფია”.

1990 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში დავიცავი დისერტაცია გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე “რესპუბლიკის სოციალური გეოგრაფია (საქართველოს სსრ მასალებზე)”. სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ ეს დისერტაცია ცნობილი იქნა საბჭოთა კავშირში იმავე გრიფით 1990 წელს დაცულ დისერტაციათა შორის საუკეთესოდ.

1968 წლიდან ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის ასისტენტად (1969-1971 წწ.), დოცენტად

(1972-1991 წწ.), პროფესორად (1991-1998 წწ., 2004 წ. 1 ოქტომბრიდან 2005 წლის 1 მარტამდე, 2009 წლის დეკემბრიდან --- დღემდე), კათედრის გამგედ (1993 წლიდან 1998 წლამდე, მათ შორის 1997 წლის 1 აგვისტოდან 1998 წლის 19 თებერვლამდე – ნახევარ შტატში).

1980-1987 წლებში ვიყავი **პარტიულ სამუშაოზე**: 1980 წელს ამირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნად. 1981-1987 წლებში ვმუშაობდი საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგედ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილედ. იმავე პერიოდში შეთავსებით (ნახევარ შტატში) ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1987-1998 წლებში ვმუშაობდი **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში** – საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ინფორმაციის ცენტრის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის განყოფილების გამგედ, სოციოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

1997 წლის 1 აგვისტოდან ვიყავი **დიპლომატიურ სამუშაოზე**: დავინიშნე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორად. 1998 წლის 19 თებერვლიდან 2004 წლის 15 სექტემბრამდე ვიყავი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში. 2005 წლის 26 თებერვლიდან 2009 წლის 26 თებერვლამდე ვიყავი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში. 2009 წლის 1 მარტიდან ვარ საგანგებო დავალებათა ელჩი.

დიპლომატიურ სამუშაოზე ყოფნის დროსაც ვაგრძელებდი სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას, ვწერდი მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებს. პერიოდულად ვკითხულობდი მოხსენებებსა და ლექციების კურსებს.

2009 წლის სექტემბრიდან 2010 წლის სექტემბრამდე შეთავსებით ვიყავი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი.

1996 წელს მომენიჭა **პროფესორის სამეცნიერო წოდება**.

1998 წელს მომენიჭა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის **დიპლომატიური რანგი**.

1996-1998 წწ. სათავეში ვედექი ქართველ გეოგრაფთა ეროვნულ კომიტეტს და იმ პერიოდში საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება გახდა საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის წევრი.

2001 წელს ამირჩიეს **სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების (ლონდონი) საპატიო უცხოელ წევრად**.

2008 წლის 29 მარტს ამირჩიეს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტად.

2009 წლის აპრილში ამირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

კონკურსში მოპოვებული გრანტის შედეგად 1995-1997 წლებში ვიყავი NATO-ს მეცნიერ-მკვლევარი.

სამეცნიერო საქმიანობა

გამოქვეყნებული მაქვს ასორმოდდაათამდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 17 წიგნი, მონოგრაფია და კრებული ჩემი ავტორობით, თანაავტორობითა ან რედაქტორობით. 42 სტატია და წიგნი გამოქვეყნდა დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, შვედეთში, ჰოლანდიაში, პოლონეთში, რუსეთში, ინდოეთში, ამერიკის შეერთებული შტატებში, ხორვატიაში.

ჩემი პუბლიკაციების საგრძნობი ნაწილი სოციალურ გეოგრაფიას განეკუთვნება, რომლის შესწავლა საქართველოში პირველმა დავიწყო. დამნაშავეობის გეოგრაფიის საკითხებზე ჩემი თანაავტორობით დაწერილი წიგნები და სტატიები ამ საკითხის პირველი სოციალურ-გეოგრაფიული გამოკვლევები იყო იმდროინდელ საბჭოთა კავშირში. შევიმუშავე სოციალური დარაიონების მეთოდოლოგია, აგრეთვე საქართველოს სოციალური ატლასის კონცეფცია და შევქმენი მისი პროტოტიპი. ჩემმა სოციალურ-გეოგრაფიულმა შრომებმა პოზიტიური შეფასება ჰპოვა მაშინდელი სამეცნიერო კრიტიკის მხრიდან როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ (სტატიები ითარგმნა და გადაიბეჭდა აშშ-ში).

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1990-იანი წლებიდან, აუცილებლობად იქცა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გეოგრაფიული უზრუნველყოფა. ამიტომ ჩემი კვლევის პრობლემატიკა ძირითადად პოლიტიკურ გეოგრაფიაზე გადაერთო.

ჩემი შრომებიდან აღნიშვნის ღირსად მიმაჩნია დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში 1995 წელს ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი წიგნი *The New Georgia: Space, Society, Politics*. UCL Press, London and Texas A&M University Press, რომლისთვისაც 2002 წელს მომენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ამ წიგნის შესახებ საზღვარგარეთ (დიდი ბრიტანეთი, აშშ, თურქეთი, პოლონეთი, რუსეთი, ჰოლანდია) გამოქვეყნდა 14 დადებითი რეცენზია. ყველა ინგლისურენოვან უნივერსიტეტში, სადაც სწავლობენ აღმოსავლეთ ევროპას და კავკასიას, ეს წიგნი დღემდე გამოიყენება, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს შესახებ.

ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული შრომებიდან აღსანიშნავია 2003 წელს თბილისის გამომცემლობა “დიოგენეს” მიერ გამოცემული პოლიტიკურ-

გეოგრაფიული მონოგრაფია “*ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა*”. ამ წიგნის გადამუშავებული მეორე გამოცემა 2008 წელს დაბეჭდა “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ”.

იმავე გამომცემლობამ 2008 წელს გამოსცა ჩემი წიგნის “*ჩემი მეოცე საუკუნე: წინა საუკუნის საქართველო მსოფლიო ისტორიისა და გეოპოლიტიკის კონტექსტში*” პირველი ტომი.

ჩემი ხელმძღვანელობით 1987-1998 წლებში ჩატარდა ორმოცზე მეტი სოციოლოგიური გამოკითხვა საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ: მათი შედეგების ანალიზი ქვეყნდებოდა საქართველოსა და საზღვარგარეთის (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი) სამეცნიერო ჟურნალებში, აგრეთვე პერიოდულ პრესაში.

1992 წელს სამეცნიერო მუშაობისათვის მიწვეული ვიყავი ოქსფორდის უნივერსიტეტში (ინგლისი), 1994 წელს – ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიაში, 1996 წელს – ამერიკის მეცნიერების განვითარების ხელშემწყობ ასოციაციაში (AAAS).

ვმონაწილეობდი მოხსენებებით 30-ზე მეტ საერთაშორისო და საკავშირო (1991 წლამდე) სამეცნიერო კონფერენციასა და ყრილობაში, მათ შორის საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის 1976 და 1996 წლების მსოფლიო კონგრესებში, საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების 1975, 1980, 1985, 1990 წლების ყრილობებში, ამერიკულ-საბჭოთა (1989), ბრიტანულ-საბჭოთა (1982 და 1989), პოლონურ-საბჭოთა (1976 და 1988), ინდურ-საბჭოთა (1979) გეოგრაფიულ სემინარებში, საბჭოთა-იაპონურ სოციოლოგიურ სიმპოზიუმში (1989), ამერიკის პოლიტოლოგთა ასოციაციის კონფერენციაში (1996) და სხვ. მათ შორის, უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ორ საერთაშორისო კონფერენციაში (The Birth of Modern Georgia: The First Republic and its Successors (Tbilisi, October 9-12, 2009); IGU Regional Conference (Tel Aviv, Israel, July 8-16, 2010).

ჩემი ინიციატივითა და მონაწილეობით ორგანიზებულ იქნა ბრიტანულ-ქართული (1993, 1995 და 1997), ქართულ-რუსული (1995), ქართულ-პოლონური (1996), ქართულ-ისრაელური (2000 და 2002) გეოგრაფიული სემინარები.

პედაგოგიური საქმიანობა

ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა ძირითადად მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ვკითხულობდი კურსებს საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიაში, საქართველოს სოციალურ გეოგრაფიაში, ინგლისის გეოგრაფიასა და ისტორიაში, ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფიაში. გარდა ამისა ვეწეოდი პედაგოგიურ მუშაობას საზღვარგარეთაც. 1976 წელს პოლონურ ენაზე წავიკითხე ლექციათა კურსები *ლოდის უნივერსიტეტში* (პოლონეთი), 1991 და

1994 წლებში ინგლისურ ენაზე – ლონდონის უნივერსიტეტის ქუინ მერი ენდ უესტფილდ კოლეჯში [Queen Mary and Westfield College] (ინგლისი), 1994, 1996, 1997 და 1999 წლებში – ნორთუესტერნის უნივერსიტეტში [Northwestern University] (ევანსტონი, ილინოისის შტატი, აშშ), 1996, 1999, 2002, 2007 და 2009 წლებში – ოქსფორდის უნივერსიტეტში (ინგლისი), 1997 წელს – მაუნთ ჰოლიოკ კოლეჯში [Mount Holyoke College] (მასაჩუსეტის შტატი, აშშ). საზღვარგარეთ წაკითხული ლექციათა კურსების ძირითადი თემატიკა იყო საქართველოსა და კავკასიის სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია.

ცალკეული ლექციები და მოხსენებები წაკითხული მაქვს სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებშიც, მათ შორის დიდ ბრიტანეთში (ლივერპული, შეფილდი, სუონსი, ედინბურგი, ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტოლოგიის სკოლა, ბირმინგემი); ამერიკაში (ჯორჯ ქენანის რუსეთის შემსწავლელი ინსტიტუტი; ბრაუნი [პროვიდენსი, როდ-აილენდის შტატი]; ვისკონსინი [მედისონი]; კალიფორნია [ბერკლი]); ისრაელში (იერუსალიმი, თელ-ავივი, ბეერ-შევა); პოლონეთში (კრაკოვი, ვარშავა); მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში; პარიზის [სორბონის] უნივერსიტეტში.

2003 წელს მომენიჭა “*ოქსფორდის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორის*” წოდება.

ვიყავი მრავალი სადიპლომო და სამაგისტრო ნაშრომის, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი.

2010 წელს ამირჩიეს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ.

რევაზ გაჩეჩილაძე

2010 წლის 7 სექტემბერი